# ხელშეკრულება №217
# სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

*ქ. თბილისი* *18 ოქტომბერი 2016 წელი*

ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით და, მეორეს მხრივ, შპს "სი-ტი პარკ" (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი გენერალური მენეჯერის ბინიამი ლაჭავის სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## *1. ხელშეკრულების საგანი*

1.1. ხელშეკრულების საგანია სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით ავტოსადგომების მომსახურებების (CPV63712400) შესყიდვა, გამარტივებული შესყიდვის გზით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს$^{1}$ " ქვეპუნქტის შესაბამისად.

## *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია ცხრილში მოცემული 3 (სამი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალებისათვის ერთწლიანი პარკირების საფასურის გადახდა და შესაბამისად პარკირების სისტემაში გააქტიურება.

| | *ა/მანქანის მარკა და მოდელი* | *სახელმწიფო ნომერი* |
|---|---|---|
| 1 | **Skoda Fabia** | **FXF830** |
| 2 | **Skoda Fabia** | **OV593VO** |
| 3 | **TOYOTA COROLA** | **FXF960** |

## *3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. ერთი ავტომანქანის წლიური პარკირების საფასური შეადგენს 50 (ორმოცდაათი) ლარს.
3.3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა ***150 (ასორმოცდაათი) ლარი***, დღგ-ს ჩათვლით.

## *4. ანგარიშსწორების ფორმა*

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
4.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით (**კოდი 32 04 01 სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის აპარატისთვის გათვალისწინებული ასიგნებებიდან**).
4.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, მიმწოდებლის მიერ მითითებული რეკვიზიტების მიხედვით მხარეთა შორის წინასწარ შეთანხმებული ფასების შესაბამისად.

## *5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები*

5.1. პარკირების სისტემაში გააქტიურება (მომსახურება ქ.თბილისის მასშტაბით) განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან ხუთი სამუშაო დღის განმავლობაში, გააქტიურების დღიდან მომდევნო წლის შესაბამის კალენდარულ დღემდე.
5.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასაწევი მომსახურებისათვის ფორმდება შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაცია.

## *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

## *7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

7.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ შესყიდვის ობიექტის ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებს.

## *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

## *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრამდე, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

## *10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.
10.2. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ჯეროვნად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება ჯარიმით – ხელშეკრულების საერთო თანხის 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 12. ფორს-მაჟორი

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

## 13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

14.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – ნ.პეტროვსკი.
14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

## 15. ინტერესთა კონფლიქტი

15.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

## 16. სხვა პირობები

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

**შემსყიდველი:**

სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ. თბილისი, მინდელის ქ. №9
ს/კ 202198727
სახელმწიფო ხაზინა
ანგარიშის №200122900

დირექტორი
მაია მიმინოშვილი

---

**მიმწოდებელი:**

შპს "სი-ტი პარკ"
ქ.თბილისი, კანდელაკის ქ.№47, ტელ: 24 44 41
ს.ს. „ბაკი რესპუბლიკა“
ა/ა GE90 BR00000 106 086 189 45
ბ/კ REPLGE22
ს/კ 204543770

გენერალური მენეჯერი
ბინიამი ლაკაში

---

## მიღება-ჩაბარების აქტი 217

2016 წლის 18 ოქტომბრის სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №217-ით
გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ

*თბილისი* *18 ოქტომბერი 2016 წელი*

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთი მხრივ, სსიპ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის (შემდგომში–შემსყიდველი) წარმომადგენელი და, მეორე მხრივ, შპს "სი-ტი პარკი"–ს (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმომადგენელი ვადგენთ აქტს მასზედ, რომ ხელშეკრულება №217-ის თანახმად, მიმწოდებელმა შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, მოახდინა ცხრილში მოცემული 3 (სამი) ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ერთწლიან პარკირების სისტემაში გააქტიურება ერთი წლის ვადით.

| | *ა/მანქანის მარკა და მოდელი* | *სახელმწიფო ნომერი* |
|---|---|---|
| 1 | **Skoda Fabia** | **FXF830** |
| 2 | **Skoda Fabia** | **OV593VO** |
| 3 | **TOYOTA COROLA** | **FXF960** |

რომლის ღირებულებაა ***150 (ასორმოცდაათი) ლარი***, დღგ-ს ჩათვლით.

ხარისხის კონტროლის (ინსპექტირების) დროს ხარვეზები არ გამოვლენილა.
მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზია არ გააჩნიათ, რასაც ვადასტურებთ ხელის მოწერით.

წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტი სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №217-ის შესაბამისად წარმოადგენს უნაღდო ანგარიშსწორების საფუძველს.

**შემსყიდველი**

სსიპ შეფასებისა და გამოცდების
ეროვნული ცენტრის წარმომადგენელი
ნ.პეტროვსკი

**მიმწოდებელი**

შპს "სი-ტი პარკ"–ის
წარმომადგენელი